„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მოსაზრებები სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

7 აპრილი, 2020

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით[1] არაკონსტიტუციურად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი იმის მიუხედავად, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს.[2]

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან და საქართველოს პარლამენტს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად.

IDFI წარმოგიდგენთ მოსაზრებებს იმ საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რაც აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, IDFI ორ ალტერნატიულ მიდგომას განიხილავს:

ალტერნატივა 1:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, არ მოხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება/გასაჯაროება.

სასამართლოს აქტებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ბალანსი შეცვალა და დაადგინა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება.

შესაბამისად, კანონის როგორც მე-5, ასევე მე-6 მუხლში უნდა დაემატოს მონაცემთა დამუშავების შემდეგი საფუძველი: მონაცემთა დამუშავება/გასაჯაროება აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილებებში არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 51.

უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მონაცემთა სუბიექტის (განსაკუთრებით არასრულწლოვნის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს კანონმდებლის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, რომ პირის შესახებ არსებული ცალკეული კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ასეთი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და ა.შ.[3]

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი განმარტება ცხადყოფს, რომ პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ, სხვა დამატებითი გარემოებების გარეშე, არ შეიძლება იმდენად ინტენსიური გავლენა მოახდინოს პირად ცხოვრებაზე, რომ აუცილებელი გახდეს იმგვარი ბალანსის დადგენა, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები. შესაბამისად, კანონმდებლობამ ამომწურავად და მკაფიოდ უნდა გაითვალისწინოს გამონაკლისი შემთხვევები, რომელიც ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულ ინტერესს ადასტურებს.

ამ მიზნით, კანონის „მონაცემთა სუბიექტის უფლებების“ თავში შესაძლოა დაემატოს ცალკე მუხლი, რომელიც მონაცემთა სუბიექტს უფლებას მისცემს მოითხოვოს ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში არსებული მონაცემების გამჟღავნების აკრძალვა. ამ მუხლმა ამომწურავად უნდა გაითვალისწინოს ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა არსებობისას სუბიექტს ამგვარი მოთხოვნის წარდგენის უფლება ექნება.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ აღნიშნა, რომ ამგვარი გამონაკლისი შემთხვევის არსებობისას, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს. მაგალითისთვის, თუ საქმე შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს, შესაძლოა, არსებობდეს მის მიმართ მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოირიცხოს ინფორმაციის დახურვის საფუძველი.[4]

შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონშიც პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ გამონაკლისი შემთხვევის არსებობის მიუხედავად, მონაცემთა დამმუშავებელს უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს მონაცემთა დაფარვის მოთხოვნა, თუ კონკრეტული მონაცემის

---

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

ხელმისაწვდომობის მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დამმუშავებელი გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების საფუძველზე.

ალტერნატივა 2:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები აწესრიგებს პერსონალური მონაცემების შემცველი ნებისმიერი ინფორმაციის დამუშავების საკითხს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში შეაფასა მხოლოდ სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი, რადგან სასარჩელო მოთხოვნა არ მიემართებოდა სადავო ნორმებით მოაზრებულ ნებისმიერ ინფორმაციას. შესაბამისად, სასამართლომ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი დაადგინა საჯარო ინფორმაციის ერთ კონკრეტულ სახესთან - სასამართლოს აქტებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხის ალტერნატიული გადაწყვეტა შეიძლება იყოს ის, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება აღარ გავრცელდეს სასამართლოს აქტებზე. ამის უზრუნველსაყოფად, კანონის მე-3 მუხლში (მოქმედების სფერო) პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ კანონის მოქმედება სასამართლოს აქტებზე არ ვრცელდება. ასეთ შემთხვევაში, აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი სხვა საკანონმდებლო აქტებით უნდა დარეგულირდეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3[1] პუნქტის თანახმად, „ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად.“

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანული კანონი იერარქიულად კანონებზე ზემდგომი სამართლებრივი აქტია, IDFI მიიჩნევს, რომ დამატებით მყარი გარანტიების უზრუნველსაყოფად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში აუცილებლად უნდა აისახოს კონსტიტუციური სტანდარტი და სასამართლოს მიერ დადგენილი ბალანსი: მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ნორმის ცვლილება იმგვარად, რომ ორგანული კანონით გარანტირებული იყო ღია სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების სრული სახით (პერსონალური მონაცემების გამჟღავნებით) ხელმისაწვდომობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლითა და დადგენილი წესით მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შესატანი ცვლილება

საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით რეგულირდება.

იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით პირველ ალტერნატივას (დამუშავების საფუძვლების დაკონკრეტება და გამონაკლისი შემთხვევების ამომწურავად გათვალისწინება) აირჩევს, შესაძლოა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის საჭიროება არ დადგეს. სზაკ-ის 27[1]-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით. შესაბამისად, ამ კანონში ცვლილების შეტანით უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული პერსონალური მონაცემების საჯაროობა, თუკი გამონაკლისი შემთხვევა არ არის სახეზე.

იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მე-2 ალტერნატივას აირჩევს (კანონის მოქმედების სფეროდან სასამართლოს აქტების გამორიცხვა), აუცილებელია ეს საკითხი ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, როგორც ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ აქტში, აისახოს.

ასეთ შემთხვევაში, სზაკ-ის მე-3 თავში („ინფორმაციის თავისუფლება“) უნდა დაემატოს სპეციალური მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტების საჯაროობას, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად,[5] სზაკ-ში პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ გამონაკლისი შემთხვევის არსებობის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაიცეს საჯარო ინფორმაციის სახით, თუკი მის მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი.

გამონაკლისის სახით მონაცემების დაფარვის პროცედურა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლოა, შეიქმნას სისტემა, რომლის ფარგლებშიც ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული იქნება იმაზე, აქვს თუ არა მისი კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი უშუალოდ მონაცემთა სუბიექტს. ხოლო, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ამგვარი ინტერესის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების ღიაობა სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების შედეგად გადაწყდება. ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირადი ინფორმაციის მონაცემთა სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ გასაჯაროების პრევენციას, ხოლო, მეორე მხრივ, იქნებოდა სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ნაკლებად შემზღუდველი საშუალება.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

ამავე დროს, ასეთი სისტემა არ ქმნის არაგონივრულ ადმინისტრაციულ ტვირთს მონაცემთა დამმუშავებლისათვის.[6]

IDFI მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული სისტემა შესაძლოა აისახოს საპროცესო კანონმდებლობაში და საქმის განმხილველ მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა გამოარკვიოს, პროცესის მონაწილეს აქვს თუ არა მისი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა სუბიექტის მიერ მოტივირებული შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობა. ამასთან, შუამდგომლობა უნდა ეფუძნებოდეს კანონმდებლობით ამომწურავად გათვალისწინებულ იმ გამონაკლის შემთხვევას, როდესაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მონაცემთა დაფარვა.

მოსამართლემ უნდა მიიღოს მოტივირებული განჩინება პირის მაიდენტიფიცირებელი/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ, თუკი არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს აქტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმგვარი ფორმით, რომ არ გამჟღავნდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული შესაბამისი ინფორმაცია.

ამავდროულად, არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს არა ავტომატურად, არამედ სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების შედეგად. კერძოდ, მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს.[7]

გარდა ამისა, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით, ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება მონაცემთა დაფარვის შესახებ.

საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, მნიშვნელოვანია, შემოღებულ იქნეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობა პირის შესახებ არსებული ინფორმაციის დასაცავად შეიზღუდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი გაცნობიერებული გადაწყვეტილებით გამოხატავს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 33; 67; 70.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

დადგენილი ეს სტანდარტი მიემართება როგორც მიმდინარე, ისე უკვე დასრულებულ სამართალწარმოების შედეგად შექმნილ სასამართლოს აქტებს.[8]

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცეთ იმ პირებსაც, ვის პერსონალურ მონაცემებსაც მოიცავს ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე და სახეზეა კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევა.

საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ცვლილებამ უნდა გაითვალისწინოს გარდამავალი რეგულირება, რომელიც მონაცემთა სუბიექტებს ეტაპობრივად მისცემს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას.[9] მოთხოვნების ეტაპობრივი წარდგენა აუცილებელია სასამართლოების გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად და მოთხოვნების დროულად განხილვის უზრუნველსაყოფად. იმ პირების პერსონალური მონაცემები, რომლებიც დადგენილ ვადაში არ წარადგენენ მოთხოვნას, კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად უნდა გასაჯაროვდეს.

თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მიზანშეწონილია, მონაცემთა სუბიექტმა მოთხოვნა წარადგინოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციაში.

ამასთან სასურველია, პირველ ეტაპზე, მოთხოვნა განიხილოს შესაბამისი სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა და შეამოწმოს, განაცხადში არის თუ არა მითითებული კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, რის საფუძველზეც მონაცემთა სუბიექტი კონფიდენციალობის უზრუნველყოფას ითხოვს. განაცხადში ამგვარი საფუძვლის მითითების შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის განმხილველმა მოსამართლემ, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის განცხადება უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.

მოსამართლემ ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების საფუძველზე.

---

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 70.

[9] მაგალითისთვის, იმ პირებს, რომელთა მონაცემები ასახულია 2018-2020 წლების გადაწყვეტილებებში, მიეცეთ შესაძლებლობა მოთხოვნა წარადგინონ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში; იმ პირებს, რომელთა მონაცემები ასახულია 2015-2017 წლების გადაწყვეტილებაში, მიეცეთ შესაძლებლობა მოთხოვნა წარადგინონ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის შემდეგ და მათაც მიეცეთ ერთთვიანი ვადა და აშ.